იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გურამი იოსებაშვილი

ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები კახეთის რეგიონში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თელავი, 2026

სამუშაო შესრულებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე. („გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა)

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი მაია გონაშვილი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი ნანა რინკიაშვილი.

შემფასებლები (რეცენზენტები):

1. ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნანული ხიზანიშვილი;

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორი ნინო მაზიშვილი.

დაცვა შედგება 2026 წლის 17 აპრილს 13:00 საათზე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე, I კორპუსი.

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200 ქართული უნივერსიტეტის ქუჩა #1

ტელ: +995 350 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ავტორეფერატის ვებ - გვერდზე: http://tesau.edu.ge სადისერტაციო საბჭოს მდივანი: თესაუ-ს პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი : ია ჯიმშიტაშვილი.

თემის აქტუალობა

კახეთის რეგიონში მევენახეობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ დარგს, რომელზეც დამოკიდებულია ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლები და ფინანსური მდგომარეობა. სახელმწიფოს მიერ ყურძნის სუბსიდირების პოლიტიკა უკვე მრავალი წლის განმავლობაში გამოიყენება ფერმერთა შემოსავლების სტაბილიზაციისა და მევენახეობის სექტორის მხარდაჭერის მიზნით. მიუხედავად ამისა, კვლავ აქტუალური რჩება კითხვა, რამდენად ეფექტურია აღნიშნული სუბსიდიები ეკონომიკური თვალსაზრისით და რა გავლენას ახდენს ისინი როგორც ფერმერების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ასევე ღვინის ინდუსტრიისა და ექსპორტის განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტების კვლევა კახეთის რეგიონში მნიშვნელოვან აქტუალურობას იძენს, რადგან იგი საშუალებას იძლევა შეფასდეს არსებული პოლიტიკის შედეგები და გამოიკვეთოს დარგის განვითარების ძირითადი გამოწვევები.

კვლევის მიზანია გამოვავლინო სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები კახეთის რეგიონში, რა გავლენა იქონია სუბსიდიამ ადგილობრივი ფერმერების ფინანსურ მდგომარეობაზე, იქონია თუ არა გავლენა პროდუქციის წარმოებაზე, ასევე ხარისხზე, რა პრობლემების თუ გამოწვევების წინაში დგას დარგი და რა საკითხებია მოსაგვარებელი დარგის განვითერებისთვის, ასევე როგორია ამ წლების განმავლობაში ექსპორტის მაჩვენებლები და რა სარგებელს იღებს სახელმწიფო ამით.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია ყურძნის სუბსიდია კახეთის რეგიონში, ხოლო ობიექტია ამ სუბსიდიის ეკონომიკური გავლენა რეგიონში.

კვლევის მეთოდი: ნაშრომში გამოყენებული მაქვს კვლევის შერეული მეთოდები. კვლევა დაფუძვნებულია ანალიზის, სტატიკური მონაცემებისა და გამოკითხვის მეთოდებზე. რაოდენობრივი კვლევების ჩატარებისთვის, მონაცემები აღებული მაქვს სტატისტიკის სამსახურიდან, რომელიც მოიცავს 2008-2023 წლების მონაცემებს, ასევე გამოკითხვა ჩატარებული მაქვს 84 ფერმერთან რომლებმაც მნიშვნელოვან კითხვებს გასცეს პასუხი და გაკეთებული მაქვს ამ პასუხების ანალიზი.

ჰიპოთეზა: კახეთში ყურძნის სუბსიდირებას 2008-2023 წლებში ჰქონდა როგორც დადებითი (შემოსავლის მატების, ფინანსური სტაბილურობის, წარმოებული ყურძნის რაოდენობის ზრდის, სხვადასხვა აგროკრედიტების ხელმისაწვდომობისა და სხვა), ასევე უარყოფითი ეფექტი(სახელმწიფოზე დამოკიდებულება, კონკურენციის არქონა ბაზარზე, პროდუქტზე ხარისხის კლება, ბაზრის დივერსიფიკაციის არ ქონდა და სხვა).

კვლევის მეცნიერული სიახლეები:

- გამოვავლინე ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური შედეგები 2008-2023 წლებში;
- გამოვავლინე ფერმერების განწყობა სუბსიდირებასთან დაკავშირებით;
- გამოვავლინე და გავეცი რჩევები, თუ როგორ შეიძლება უკეთესი ეკონომიკური შედეგის მიღწევა მევენახეობის დარგში.

ნაშრომის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი დაეხმარება ერთის მხრივ ხელისუფლებას, მეორეს მხრივ კი ფერმერებს უკეთ გააანალიზონ სუბსიდირების დადებითი და უარყოფითი შედეგები, ასევე ნაშრომი დაეხმარება მათ გაითვალისწინონ მრავალი საკითხი, რათა უკეთესი შედეგი მივიღოთ.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 140 გვერდს. მოიცავს სატიტულო გვერდს, შინაარსს, ანოტაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე. ნაშრომში ძირითადი ტექსტი შედგება: შესავლის, ხუთი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნითი შეჯამებისა და რეკომენდაციებისაგან, ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დანართები.

შესავალ ნაწილში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა, ნაშრომის მიზანი, განსაზღვრულია კვლევის ობიექტი, კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები, წარმოდგენილია კვლევის ჰიპოთეზა. შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ მევენახეობა არა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობაა, არამედ ქვეყნის კულტურული და ისტორიული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი. კახეთის რეგიონი გამოირჩევა

ხელსაყრელი კლიმატური პირობებითა და მრავალფეროვანი მიკროზონებით, რაც მაღალი ხარისხის ღვინის წარმოებას განაპირობებს.

დისერტაციის პირველ თავში „მევენახეობის დარგის სოციალურ-ეკონომიკური როლი და მისი მხარდაჭერა კახეთის რეგიონში“ განხილულია მევენახეობის ისტორიული, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა კახეთის რეგიონში. ნაჩვენებია, რომ საქართველო ერთ-ერთი უძველესი ღვინის მწარმოებელი ქვეყანაა და ვაზის კულტივაციის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. განსაკუთრებული ადგილი ამ პროცესში უკავია კახეთს, რომელიც ქვეყნის მევენახეობისა და მეღვინეობის მთავარი ცენტრია. თავში აღწერილია კახეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები – კლიმატი, ნიადაგი, მიკროზონები და ტერუარი, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ გარემოს მაღალი ხარისხის ყურძნის წარმოებისთვის. ასევე განხილულია რეგიონში გავრცელებული ყურძნის ჯიშები და ღვინის წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიები, მათ შორის ქვევრის მეთოდი. გარდა ბუნებრივი პირობებისა, ყურადღება გამახვილებულია მევენახეობის სოციალურ-ეკონომიკურ როლზე. დარგი პირდაპირ და არაპირდაპირ ასაქმებს ათასობით ადამიანს და წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ შემოსავლის წყაროს. აღწერილია მცირე საოჯახო მეურნეობების მნიშვნელობა, ღვინის ინდუსტრიის განვითარება და ღვინის ტურიზმის ზრდა.თავში ასევე განხილულია დარგის ძირითადი პრობლემები – მიწის დანაწევრება, ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა, ფინანსური რესურსების ნაკლებობა, ბაზრის არასტაბილურობა და კლიმატური რისკები. ამასთან ერთად, აღწერილია სახელმწიფოს მხარდაჭერის პროგრამები, მათ შორის სუბსიდიები, აგროკრედიტები და აგროკონსულტაციის სერვისები, რომლებიც მიზნად ისახავს მევენახეობის განვითარების ხელშეწყობას.

დისერტაციის მეორე თავში - „ყურძნის სუბსიდირება 2008-2023 წლებში და მისი შედეგები კახეთის რეგიონში“ განხილულია ყურძნის სუბსიდირების პოლიტიკა კახეთის რეგიონში 2008–2023 წლებში. განხილულია სუბსიდირების მიზნები, მისი დანერგვის მიზეზები და პრაქტიკული განხორციელების მექანიზმები. სახელმწიფოს მთავარი მიზანი იყო ფერმერების ფინანსური მხარდაჭერა, მოსავლის რეალიზაციის

უზრუნველყოფა და მევენახეობის სექტორის სტაბილიზაცია.თავში ნაჩვენებია, რომ სუბსიდირების მექანიზმი ძირითადად ეფუძნება მინიმალური შესყიდვის ფასის განსაზღვრას. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო აფინანსებს იმ ყურძნის შესყიდვას, რომელსაც კერძო ღვინის ქარხნები ვერ იბარებენ. აღნიშნული სისტემა საშუალებას აძლევს ფერმერებს თავიდან აიცილონ მოსავლის დაკარგვა და შეინარჩუნონ სტაბილური შემოსავლები.მეორე თავში ასევე გაანალიზებულია სუბსიდირების შედეგები. ერთის მხრივ, სუბსიდიებმა ხელი შეუწყო ყურძნის წარმოების ზრდას, სოფლის მოსახლეობის დასაქმების შენარჩუნებას და ღვინის ინდუსტრიის ნედლეულით უზრუნველყოფას. მეორეს მხრივ, გამოვლინდა გარკვეული პრობლემები – ფერმერთა დამოკიდებულება სახელმწიფოზე, ბაზრის მექანიზმების შესუსტება და ხარისხზე ნაკლები ყურადღება. თავის ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად სუბსიდირების დადებითი ეფექტებისა, გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია უფრო ეფექტური და სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს დარგის მდგრად განვითარებას.

დისერტაციის მესამე თავში - „ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები და გამოწვევები კახეთის რეგიონში“ განხილულია ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები როგორც მიკროეკონომიკურ, ისე მაკროეკონომიკურ დონეზე. წარმოდგენილია სხვადასხვა კვლევების მიმოხილვა, სადაც შეფასებულია სუბსიდირების გავლენა მევენახეობის სექტორის განვითარებაზე. მიკროეკონომიკურ დონეზე სუბსიდიებმა ხელი შეუწყო ფერმერთა შემოსავლების სტაბილიზაციას და მოსავლის რეალიზაციის უზრუნველყოფას. თუმცა ამავე დროს გაჩნდა პრობლემები, როგორიცაა სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულების ზრდა და ხარისხზე ნაკლები ყურადღება. მაკროეკონომიკურ დონეზე სუბსიდიებმა ხელი შეუწყო ღვინის ექსპორტის ზრდას და მთლიანად აგროსექტორის განვითარებას. მიუხედავად ამისა, ექსპორტის სტრუქტურა კვლავ დამოკიდებულია რამდენიმე ბაზარზე, განსაკუთრებით რუსეთის ბაზარზე, რაც ზრდის ეკონომიკურ რისკებს. თავში ასევე განხილულია სექტორის ძირითადი გამოწვევები – ბაზრის დივერსიფიკაციის ნაკლებობა, კონკურენციის შეზღუდვა, ფალსიფიცირებული ღვინოების პრობლემა და აგროტექნოლოგიური განვითარების

საჭიროება. აღნიშნული პრობლემები მიუთითებს, რომ სუბსიდირების პოლიტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას და უფრო ეფექტური ეკონომიკური მექანიზმების დანერგვას.

დისერტაციის მეოთხე თავში - ,,მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ყურძნის, ღვინის წარმოებისა და სუბსიდირების სფეროში'' - განხილულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ყურძნისა და ღვინის წარმოების მხარდაჭერის სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროკავშირის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც მევენახეობის სექტორის მხარდაჭერა მრავალფეროვანი ეკონომიკური მექანიზმებით ხორციელდება. ევროკავშირის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა ძირითადად მიმართულია ხარისხის გაუმჯობესებაზე, ინოვაციებზე, ბაზრების დივერსიფიკაციაზე და მცირე ფერმერების გაძლიერებაზე. ასევე ფართოდ გამოიყენება ბიოწარმოების მხარდაჭერა და პროდუქციის სერტიფიცირების სისტემა. აშშ-ის მაგალითზე განხილულია ღვინის ინდუსტრიის განვითარების ფაქტორები, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ეფექტიანი მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრებზე აქტიური პოზიციონირება. თავის ბოლოს გაანალიზებულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ყურძნისა და ღვინის წარმოებიდან მაღალი ეკონომიკური სარგებლის მიღებას – ტექნოლოგიური განვითარება, ხარისხზე ორიენტირებული პოლიტიკა, ეფექტიანი მარკეტინგი და ბაზრების მრავალფეროვნება.

დისერტაციის მეხუთე თავი მთლიანად ეთმობა კვლევას, სადაც გამოიკითხა 84 ფერმერი და დამუშავდა/შეჯამდა მათი პასუხები, ასევე მოხდა სტატისტიკის ეროვნაული სამსახურის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა სტრუქტურული ერთეულების მონაცემების ანალიზი, რის შედეგადაც საბოლოო შეჯამება განხორციელდა.

გამოკითხვა შედგება 26 შეკითხვისგან, საიდანაც 22 არის ისეთი შეკითხვა, სადაც რესპოდენტმა რამოდენიმე პასუხიდან ერთ-ერთი უნდა დაფიქსიროს, ხოლო 4 შეკითხვა, რომელზეც რესპოდენტმა თავისი მოსაზრება უნდა დააფიქსიროს.

იქიდან, გამომდინარე, რომ კახეთი რამდენიმე რაიონისაგან შედგება აუცილებელ პირობად შევარჩიე სხვადასხვა რეგიონებიდან გამომეკითხა რესპოდენტები, რათა მიღებულმა პასუხებმა მთლიანად კახეთში არსებული სურათი დაგვანახოს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყურძნის წარმოების საშუალო თვითღირებულება დაახლოებით 0.60–0.80 ლარია ერთ კილოგრამზე. გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ მიღებული სუბსიდია ძირითადად ხარჯების დასაფარად გამოიყენება და არა წარმოების განვითარებისთვის. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სუბსიდიებმა გარკვეულწილად ხელი შეუწყო წარმოების ზრდას, თუმცა ფერმერები კვლავ აწყდებიან მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიცაა ბაზრის დივერსიფიკაციის ნაკლებობა, მონოპოლიური ფასები ღვინის ქარხნების მხრიდან და ფალსიფიცირებული პროდუქციის არსებობა. მიღებული შედეგების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს სუბსიდირების სისტემის გაუმჯობესებას, ბაზრების გაფართოებას, ფერმერთა კოოპერაციის გაძლიერებას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.

დასკვნითი შეჯამება და რეკომენდაციები

საქართველოში ყურძნის წარმოება და ექსპორტი წლიდან წლამდე მზარდ სახეს იღებს, თუმცა ყურძნის ფასი წლებია უცვლელია და რიგ შემთხვევაში შემცირდა კიდეც. სუბსიდირების ხარჯები ქვეყნის ბიუჯეტს ტვირთად აწევს და წლიდან-წლამდე ასევე მზარდ სახეს იღებს. ღვინის ექსპორტი ძლიერ არის დამოკიდებულები რუსეთის ბაზარზე. წარმოების ხარჯები იზრდება, რაც იმპორტირებული პროდუქციის, სასუქების, შხამქიმიკატების, საწვავისა და მუშახელის გაძვირებითაა გამოწვეული, ეს ყოველივე კიდევ უფრო ამცირებს ფერმერების რეალურ მოგებას. ხარისხის გაუმჯობესებისკენ და ინოვაციებისკენ სტიმული სუსტია, ხოლო ბაზარი თავისუფლად ვერ ვითარდება. ბოლო წლებში ყურძნის წარმოება რაოდენობრივად იზრდება, მაგრამ ღირებულებით სუსტი რჩება და პრემიუმ სეგმენტი არასაკმარისად ვითარდება. ფერმერებს არ აქვთ მოტივაცია ვენახის ფართობის ზრდის, რაც აისახება ვაზის ნერგების წარმოების დონეზეც(ბოლო წლებში ძალიან შემცირდა მოთხოვნა ვაზის ნერგებზე). მიუხედავად იმისა, რომ უკვე

გაშენებული ვენახები მინიმალურ მოგებას იძლევა, ეს საკმარისია რათა ფერმერებმა დაასაქმონ სხვები ან თვითდასაქმებულები იყვნენ. სუბსიდიის პოლიტიკა ფერმერებს უქმნის განცდას, რომ ყოველ წელს მიუხედავად მევენახეობის დარგის მცირე მოგებისა, სტაბილურად დაბალ შემოსავალს მაინც მიიღებს ამიტომ ისინი აგრძელებს ყურძნის წარმოებას.

რეკომენდაციები:

1. ფასის პოლიტიკა
2. ექსპორტის დივერსიფიკაცია
3. იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება
4. ხარისხის კონტროლი
5. ბაზრის თავისუფალი განვითარება
6. მიწის დანაწევრების პრობლემის მოგვარება
7. იაფი კრედიტები
8. სადაზღვევო პოლიტიკის განვითარება

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები:

1. რინკიაშვილი ნ., იოსებაშვილი გ., (2025) საქართველოში ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტის შეფასების საკითხისათვის. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 97-104.
   http://economicprofile.org/article/1396
2. იოსებაშვილი გ. (2025) ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები კახეთის რეგიონში. Proceedings of the 6th International Conference (July 4-5, 2025, ATSU, Kutaisi, Georgia) "Economic, Legal and Social Problems of Modern Development". https://ejournals.atsu.ge/BLSS/eJournal/Papers/IosebashviliGurami.pdf
3. იოსებაშვილი გ.(2025) ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები კახეთის რეგიონში. მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,კულტურათაშორისი დიალოგები “. თესაუ. ქ.თელავი. https://tesau.edu.ge/files/1/++%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%202025.%20%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98,%202025.%20doc.pdf
4. იოსებაშვილი გ.(2025) ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები კახეთის რეგიონში. საერთაშორისო სამეცნიერო - ანალიტიკური ჟურნალი ,,ეკონომისტი’’. გვ.192-195. ქ.თბილისი. https://ekonomisti.tsu.ge/doc/ekon4%202025.pdf

Iakob Gogebashvili Telavi State University

With the right of manuscripts

Gurami Iosebashvili

Economic Effects of Grape Subsidies in the Kakheti Region

Abstract

of a doctoral thesis for earning the academic degree of a Doctor of Economics

Telavi, 2026

The work was carried out at the Faculty of Social Sciences, Business and Law of the Iakob Gogebashvili Telavi State University. (Doctoral Educational Program in "Applied Economics")

Scientific supervisors: Doctor of Economics, Professor Maia Gonashvili, Academic Doctor of Economics, Professor Nana Rinkiashvili.

Evaluators (reviewers):

1. Nanuli Khizanishvili, Associate Professor of I. Gogebashvili Telavi State University;
2. Nino Mazishvili, Doctor of Economics, Georgian Technical University.

The defense will be held on April 17, 2026 at 13:00, at the Dissertation Board meeting of the Faculty of Social Sciences, Business and Law of Iakob Gogebashvili Telavi State University, Building I.

Address: Georgia, Telavi, 2200 Georgian University Street #1

Tel: +995 350 27 24 01

The dissertation can be viewed at the Telavi State University Library and on the author's abstract website: http://tesau.edu.ge Secretary of the Dissertation Council: TESAU Professor, Doctor of Economics: Ia Jimshitashvili.

Relevance of the topic

In the Kakheti region, viticulture is one of the important economic sectors, on which the incomes and financial situation of a significant part of the local population depend. The state's policy of subsidizing grapes has been used for many years to stabilize farmers' incomes and support the viticulture sector. Nevertheless, the question remains as to how effective these subsidies are from an economic point of view and what impact they have on both the economic situation of farmers and the development of the wine industry and exports. That is why the study of the economic effects of grape subsidies in the Kakheti region is of great relevance, as it allows assessing the results of the existing policy and identifying the main challenges for the development of the sector.

The aim of the research is to identify the economic effects of subsidies in the Kakheti region, what impact the subsidy had on the financial situation of local farmers, whether it had an impact on production and quality, what problems or challenges the sector faces and what issues need to be resolved for the development of the sector, as well as what are the export figures over the years and what benefits the state receives from this.

Subject and object of the research: The subject of the research is the grape subsidy in the Kakheti region, and the object is the economic impact of this subsidy in the region.

Research method: I have used mixed research methods in the paper. The research is based on analysis, static data and survey methods. For quantitative research, I have taken data from the Statistics Service, which includes data for 2008-2023, and I have also conducted a survey with 84 farmers who answered important questions and analyzed these answers.

Hypothesis: Grape subsidies in Kakheti in 2008-2023 had both positive (increased income, financial stability, increased quantity of grapes produced, availability of various agro-credits, etc.) and negative effects (dependence on the state, lack of competition in the market, decrease in product quality, lack of market diversification, etc.).

Scientific innovations of the research:

- I identified the economic results of grape subsidies in 2008-2023;
- I identified farmers' attitudes towards subsidies;

- I identified and gave advice on how to achieve better economic results in the field of viticulture. Theoretical and practical significance of the work: The work will help the government, on the one hand, and farmers, on the other hand, to better analyze the positive and negative consequences of subsidies, and the work will also help them take into account many issues in order to achieve better results.

Structure and volume of the dissertation work

The work consists of 140 pages printed on a computer. It includes a title page, table of contents, annotation in Georgian and English. The main text of the work consists of: an introduction, five chapters, nine subchapters, a final summary and recommendations, the work is accompanied by a list of used literature and appendices.

The introductory part substantiates the relevance of the research topic, the purpose of the work, defines the object of the research, the methodological and theoretical foundations of the research, and presents the research hypothesis. The introductory part notes that viticulture is not only an economic activity, but also an important part of the country's cultural and historical identity. The Kakheti region is distinguished by favorable climatic conditions and diverse microzones, which contribute to the production of high-quality wine.

The first chapter of the dissertation, "The Socio-Economic Role of Viticulture and Its Support in the Kakheti Region," discusses the historical, economic, and social significance of viticulture in the Kakheti region. It is shown that Georgia is one of the oldest wine-producing countries and the history of vine cultivation dates back thousands of years. Kakheti, which is the main center of viticulture and winemaking in the country, occupies a special place in this process. The chapter describes the natural and geographical conditions of Kakheti – climate, soil, microzones, and terroir, which create a favorable environment for the production of high-quality grapes. The grape varieties common in the region and traditional winemaking technologies, including the qvevri method, are also discussed. In addition to natural conditions, attention is focused on the socio-economic role of viticulture. The sector directly and indirectly employs thousands of people and is one of the main sources of income for the rural population. The importance of small family

farms, the development of the wine industry and the growth of wine tourism are described. The chapter also discusses the main problems of the sector - land fragmentation, limited access to technologies, lack of financial resources, market instability and climate risks. In addition, state support programs are described, including subsidies, agro-credits and agro-consulting services, which are aimed at promoting the development of viticulture.

The second chapter of the dissertation - "Grape Subsidy in 2008-2023 and its Results in the Kakheti Region" discusses the grape subsidy policy in the Kakheti region in 2008-2023. The goals of the subsidy, the reasons for its introduction and the mechanisms of practical implementation are discussed. The main goal of the state was to financially support farmers, ensure the sale of the crop, and stabilize the viticulture sector. The chapter shows that the subsidy mechanism is mainly based on determining the minimum purchase price. If necessary, the state finances the purchase of grapes that private wineries cannot procure. This system allows farmers to avoid crop losses and maintain stable incomes. The second chapter also analyzes the results of the subsidy. On the one hand, subsidies contributed to the growth of grape production, maintaining employment of the rural population, and providing the wine industry with raw materials. On the other hand, certain problems were identified - farmers' dependence on the state, weakening of market mechanisms, and less attention to quality. The analysis of the chapter shows that despite the positive effects of subsidies, in the long term it is necessary to develop a more effective and strategic policy that will promote the sustainable development of the sector.

The third chapter of the dissertation - "Economic Effects and Challenges of Grape Subsidies in the Kakheti Region" discusses the economic effects of grape subsidies at both the microeconomic and macroeconomic levels. A review of various studies is presented, which assess the impact of subsidies on the development of the viticulture sector. At the microeconomic level, subsidies have helped stabilize farmers' incomes and ensure crop sales. However, at the same time, problems have emerged, such as increased dependence on state aid and less attention to quality. At the macroeconomic level, subsidies have helped increase wine exports and the development of the agro-sector as a whole. Nevertheless, the export structure still depends on several markets, especially the Russian market, which increases economic risks. The chapter also discusses the

main challenges of the sector - lack of market diversification, limited competition, the problem of counterfeit wines and the need for agro-technological development. The above-mentioned problems indicate that the subsidy policy needs to be improved and more effective economic mechanisms introduced.

The fourth chapter of the dissertation - "Experience of different countries of the world in the field of grape, wine production and subsidies" - discusses the experience of different countries of the world in the field of grape and wine production support. Special attention is paid to the countries of the European Union and the United States of America, where support for the viticulture sector is implemented through a variety of economic mechanisms. The example of the European Union shows that state support is mainly aimed at improving quality, innovation, market diversification and strengthening small farmers. Support for organic production and a product certification system are also widely used. The factors of wine industry development, such as the use of modern technologies, effective marketing and active positioning in international markets, are discussed using the example of the United States. At the end of the chapter, the main factors that contribute to obtaining high economic benefits from grape and wine production are analyzed - technological development, quality-oriented policy, effective marketing and diversity of markets.

The fifth chapter of the dissertation is entirely devoted to the research, where 84 farmers were interviewed and their answers were processed/summarized, as well as data from the National Statistical Service, the Ministry of Agriculture and other structural units were analyzed, as a result of which a final summary was made.

The survey consists of 26 questions, of which 22 are questions where the respondent must indicate one of several answers, and 4 questions on which the respondent must express his/her opinion.

Since Kakheti consists of several districts, it was necessary to select respondents from different regions so that the responses would reflect the overall picture in Kakheti.

The results of the study showed that the average cost of grape production is approximately 0.60–0.80 GEL per kilogram. A significant part of the respondents noted that the received subsidy is

mainly used to cover costs and not for the development of production. The study also showed that subsidies have contributed to the growth of production to some extent, but farmers still face significant problems, such as lack of market diversification, monopoly prices from wineries, and the presence of counterfeit products. Based on the results obtained, conclusions have been drawn and recommendations have been developed aimed at improving the subsidy system, expanding markets, strengthening farmer cooperation, and introducing modern technologies.

Final Summary and Recommendations

Grape production and export in Georgia are increasing year by year, although the price of grapes has remained unchanged for years and in some cases has even decreased. Subsidy costs are burdening the country's budget and are also increasing from year to year. Wine exports are heavily dependent on the Russian market. Production costs are increasing, which is caused by the increase in the price of imported products, fertilizers, pesticides, fuel and labor, all of which further reduces the real profit of farmers. The incentive for quality improvement and innovation is weak, and the market cannot develop freely. In recent years, grape production has been increasing in quantity, but its value remains weak and the premium segment is insufficiently developed. Farmers are not motivated to increase the area of vineyards, which is also reflected in the level of grape seedling production (the demand for grape seedlings has decreased significantly in recent years). Although the already cultivated vineyards provide minimal profit, this is enough for farmers to employ others or be self-employed. The subsidy policy creates a feeling among farmers that every year, despite the small profit from the viticulture sector, they will still receive a stable low income, so they continue to produce grapes.

Recommendations:

1. Price policy
2. Export diversification
3. Reducing dependence on imports
4. Quality control
5. Free development of the market
6. Solving the problem of land fragmentation

7. Cheap loans

8. Development of insurance policy

Information about the approval of the work

Scientific works published on the topic of the dissertation:

1. რინკიაშვილი ნ., იოსებაშვილი გ., (2025) საქართველოში ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტის შეფასების საკითხისათვის. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 97-104.
   http://economicprofile.org/article/1396
2. იოსებაშვილი გ. (2025) ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები კახეთის რეგიონში. Proceedings of the 6th International Conference (July 4-5, 2025, ATSU, Kutaisi, Georgia) "Economic, Legal and Social Problems of Modern Development".
   https://ejournals.atsu.ge/BLSS/eJournal/Papers/IosebashviliGurami.pdf
3. იოსებაშვილი გ.(2025) ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები კახეთის რეგიონში. მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,კულტურათაშორისი დიალოგები “. თესაუ. ქ.თელავი.
   https://tesau.edu.ge/files/1/++%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%202025.%20%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98,%202025.%20doc.pdf
4. იოსებაშვილი გ.(2025) ყურძნის სუბსიდირების ეკონომიკური ეფექტები კახეთის რეგიონში. საერთაშორისო სამეცნიერო - ანალიტიკური ჟურნალი ,,ეკონომისტი’’. გვ.192-195. ქ.თბილისი.
   https://ekonomisti.tsu.ge/doc/ekon4%202025.pdf